პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 ოქტომბერი, კვირა, 1987 წ.
№ 191 (9602) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

4 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

## ვულოცავთ წარჩინებულებს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გამოავლინა ფიზიკური კულტურის 10 საუკეთესო მასწავლებელი და დააჯილდოვა ისინი სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით. ესენი არიან:

**ლუდმილა ერმოლენკო** — ბათუმის № 3 სკოლა; **მაგული გაბიძაშვილი** — ქუთაისის № 33 სკოლა; **კობა ჩიხლაძე** — წულუკიძის № 3 სკოლა; **ამირან ხუხაშვილი** — გორის რაიონის სოფელ ქიწნისის სკოლა; **ვაჟა ძველაია** — აბაშის № 2 სკოლა; **ნელი შელეგია** — ფოთის № 1 სკოლა; **როლანდ ჯაბიევი** — ცხინვალის № 6 სკოლა; **ზურაბ ჭანუყვაძე** — თბილისის № 61 სკოლა; **ალექსანდრე ფიფია** — გაგრის ზონის სოფელ ხეივნის სკოლა; **ნიკოლოზ ხერკილაძე** — დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის სკოლა.

## ვეტერანთა ტურნირზე

**თბილისში**, კიროვის სახელობის პარკის ახალგახსნილ ბავშვთა კალათბურთის სასახლის სარბიელზე მიმდინარეობს ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ვეტერან კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი. ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ოდესის და თბილისის ვეტერანთა გუნდები. ჩატარებულია ორი ტური. თბილისელმა ვეტერანებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს ოდესისა და მოსკოვის კალათბურთელებთან შეხვედრაში.

### 6 ოქტომბერს

პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო (წერეთლის გამზირი № 95-ა) ატარებს პლენუმს.

დღის წესრიგი:

„პროფკავშირების საქართველოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987 წ) პლენუმის გადაწყვეტილებების შუქზე".

დასაწყისი 14 საათზე.

## გაზეთ „თბილისის" პრიზზე

**7 ოქტომბერს** გაიმართება კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული მძლეოსნური ამანათრბენი, რომელიც ქალაქის უძლიერეს გუნდებს უყრის თავს. გაზეთ „თბილისის" მიერ დაწესებული პრიზისათვის ყოველთვის დაძაბული ბრძოლა იმართება, განსაკუთრებით პირველ ჯგუფში, სადაც უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდები გამოდიან. თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ აბსოლუტურ პირველობაში მათ ღირსეული წინააღმდეგობა II ჯგუფის წარმომადგენელმა ფიზკულტურის ტექნიკუმის საკმაოდ ძლიერმა კოლექტივმა გაუწიოს. მესამე ჯგუფში გამოდიან თბილისის რაიონების მოსწავლეთა ნაკრებები, მეოთხეში — ფიზკულტურული კოლექტივები.

**ამანათრბენის სტარტი ლენინის მოედანზეა დანიშნული, დისტანცია 21 ეტაპად არის დაყოფილი, თითოეულ გუნდში რვა ქალი და 13 ვაჟი იქნება.**

შეჯიბრება დაიწყება 11 საათზე.

### ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** კიევში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. ამ ჯგუფში, როგორც ვიუწყებოდით, გამოდიან კიევის ასკ და „სტროიტელი", თბილისის „დინამო" და დონეცკის „შახტიორი". პირველი მატჩი ჩვენს კალათბურთელებს „სტროიტელთან" ჰქონდათ. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 90:82 (47:41).



# ახალი იპოდრომი გაგრაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შავი ზღვის პოპულარულ კურორტში საზეიმოდ გაიხსნა ახალი იპოდრომი „ბზიფი"





**გაგრა.** ავტონომიური რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ეძღვნება დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს. იპოდრომის ტრიბუნებზე მსხდომი თორმეტი ათასი მაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალს თეატრალიზებულ წარმოდგენას „ჩვენ — რევოლუციის მემკვიდრენი", ფოლკლორული ანსამბლის „აფარტინის" გამოსვლას, ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში აფხაზეთისა და საქართველოს ჩემპიონატების ფინალურ შეჯიბრებებს.

**სურათებზე:** თეატრალიზებული წარმოდგენა, „ჩვენ — რევოლუციის მემკვიდრენი" გაგრის ახალ იპოდრომზე; სიმბოლური გასაღები გადასცეს საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის დირექტორს ვალერი ბარციცს; „ცხენბურთი".

ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



საქართველოს ღია ჩემპიონატი ცხენოსნობაში

## ლიდერებს ხელი მოეცარათ

**გაგრა.** 3 ოქტომბერი (**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორესპონდენტი**). სამჭიდელთა შეჯიბრება, როგორც წესი, მესამე სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში ასპარეზობით მთავრდება. აქ თითქოს მოულოდნელი არაფერი უნდა მოხდეს, რადგან ყველაზე რთული გამოცდა — საველე კროსი უკვე განვლილია და მას, ვინც დაწინაურდა, საბოლოო წარმატების დიდი შანსი რჩება.

როგორც ვიუწყებოდით, კროსის შემდეგ სამჭიდელებს ოჩამჩირელი ო. ნარმანია ჩაუდგა სათავეში. და აი, დაბრკოლებათა გადალახვაში ლიდერი... შეჯიბრებიდან მოიხსნა. ძალზე სუსტად გამოვიდა გუდაუთელი გენადი სალტიკოვიც, რომელიც მეორე ადგილზე მიდიოდა. საბოლოოდ გამარჯვება გალელ მხედარს ოთარ გვაჯავას დარჩა (შეგახსენებთ, რომ იგი ორი სახეობის შემდეგ მესამე იყო). სამჭიდში მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, ზუგდიდის გუნდის წევრი ემზარ კვარაცხელია, მესამე ადგილზეა თენგიზ კორსაგია (ოჩამჩირე).

ჩემპიონატის პროგრამის შემდეგი სახეობა იყო დაბრკოლებათა გადალახვა—„საშონადირეო კლასი". აქ გამარჯვება დარჩა საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენელს, თბილისელ ალექსანდრე ჭელიძეს, მეორე იყო გუდაუთელი ოთარ გუდალია, რომელიც ხარლამ სიმონიას ერთ-ერთ ცხენზე აფშერონზე ასპარეზობდა. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ლერი ზეედელავა (გალი).

სამჭიდის პროგრამით საველე კროსი ახალგაზრდა ცხენებისთვის უამინდობის გამო არ ჩატარდა. ასე, რომ, მხედრები მხოლოდ ორ სახეობაში იასპარეზებენ.

შეჯიბრება გრძელდება.

**ბაქარ გაჩეჩილაძე.**
**გაგრა.**

### ანონსი

2 ოქტომბერს გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" რუბრიკით „გულახდილად იმაზე, რაც გვაწუხებს" გამოაქვეყნა წერილი „მესტია ელის, მესტიას სჯერა", რომელსაც ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.



### გუშინ...

**სსრ კავშირისა** და ჩეხოსლოვაკიის ბეისბოლისტთა საერთაშორისო შეხვედრის მომდევნო მატჩი, რუსთავის შემდეგ, კვლავ თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. გაიმარჯვეს სტუმრებმა 14:3.

დღეს იქვე, „ლოკომოტივის" სტადიონზე ამ გუნდების ბოლო შეხვედრა გაიმართება. დასაწყისი 15 საათზე.



**სეული.** აქ დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება ტყვიის სროლაში. მრგვალ სტენდზე ექვსი ფინალისტიდან განსაკუთრებით ინტერესს იწვევდა მსოფლიოს 1985 წლის ჩემპიონის ბერნჰარდ ჰოჰვალდისა (გდრ), 1981 წლის მსოფ-

## თამაზ იმნაიშვილი მეორე ადგილზეა

ლიო ჩემპიონ თამაზ იმნაიშვილისა და ბაქოელი ვალერი ტიმოხინის ასპარეზობა. ეს სპორტსმენები ასეთივე თანმიმდევრობით ავიდნენ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე შესაბამისი შედეგებით: 222 (197 და 25), 222 (197 და 25), 222 (198 და 24).

სსრ კავშირის ნაკრებმა სულ 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მომდევნო ადგილები დაიკავეს გდრ-ის — 3—0—0, ბულგარეთის — 2—0—1, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის — 1—2—0 და უნგრეთის — 1—1—3 სპორტსმენებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა: „ბევრი პრობლემაა ეგრეთ წოდებულ „დიდ სპორტშიც“. რესპუბლიკის სპორტსმენები თავის შესაძლებლობებს ვერ ავლენენ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, სულ უფრო იშვიათად ვხედავთ მათ ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. სპორტში, განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა სპორტში, გავრცელდა ნეგატიური მოვლენები...“

ხარვეზებზე — საჯაროდ!

# აღრევა. ვის სასარგებლოდ?

- პროტექციონიზმი უვნებლად არ ჩაივლის.
- რატომ არის ქაოსი იქ, სადაც სრული წესრიგი უნდა იყოს?
- გამართლება ყველაფრის შეიძლება, მაგრამ...
- სპორტული პროფილის სკოლაში ზოგიერთი... ფიზკულტურელიც არ არის.
- სამაგალითო სპეცკლასი სანთლით საძებარია...

ვინმე რომ არ გაგვინაწყენდეს, მაგალითისთვის საკუთარ თავს დაგისახელებთ. ხშირად, განსაკუთრებით ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე და შემდეგაც, ბევრი მშობელი რედაქციის თანამშრომელთა შორის ეძებს პროტექტორს. რა სურთ? შვილის ან შვილიშვილის, ახლობლის ან ნათესავის პრესტიჟულ გუნდში, პრესტიჟულ მწვრთნელთან ან სპორტის პრესტიჟული სახეობის სექციაში ჩარიცხვა. სურთ, მორჩა და გათავდა! ასეთი განწყობით მოდიან, მაგრამ უმრავლესობას ვარწმუნებთ და ისინიც დარცხვენილები მიდიან, წუხან, რომ ასეთი თხოვნით უხერხულობაში ჩაგვაგდეს ჩვენც და თავიანთი თავიც.

თითქოს საოცარია, მაგრამ ლაპარაკი გვიხდება ნიჭიერი ბავშვების ინტერესების დაცვაზე, რომლებსაც ისევე როგორც სხვა ნებისმიერ სფეროში, სპორტშიც გზა ხსნილი უნდა ჰქონდეთ და ამ გზაზე არავითარი ხელშემშლელი მიზეზი არ უნდა იყოს. ჩვენში იმთავითვე ბევრი რამ კეთდება მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული დაოსტატებისთვის. კორექტივები საქმეში მხოლოდ დროს და საზოგადოების განვითარების სოციალურ დონეს შეაქვს. ახლა სხვა პირობებში ვცხოვრობთ, ყველაფერი მეტი და უკეთესი გვინდა. ბავშვთა სპორტშიც ასეა. ის, რაც ადრე საოცნებო იყო, ახლა რეალობაა — ბავშვთა სპორტული დაოსტატებისთვის გახსნილია სპეციალიზებული კლასები და თქვენ წარმოიდგინეთ სკოლებიც კი. ეს უდავოდ დიდი მიღწევაა, რაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ გამოჩენილი ზრუნვისა და ყურადღების შედეგია.

მაშ ასე, გვაქვს სპეციალიზებული კლასები, სპეციალიზებული სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. როგორც ხედავთ, თვით სახელწოდება მიგვანიშნებს შინაარსზე. რასაკვირველია კონტიგენტიც მხოლოდ ნიჭიერმა, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში განსაკუთრებით საიმედო და გამორჩეულმა მოზარდებმა უნდა შეავსონ. სიტყვა „სპეციალიზებული“ უამრავ ღირსება-თავისებურებას გულისხმობს. სწორედ ეს განასხვავებს მას ჩვეულებრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისგან. სპეციალიზებული სკოლების მუშაობის პრინციპი კი, რომლის დედააზრი ქართული სპორტის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა, ასეთი გახლავთ: სწავლა-ვარჯიში — კვება — დასვენება — რეჟიმით! ბოდიშს მოვიხდით გადახვევისთვის და აქვე ვიტყვით, რომ არც ერთ ჭკუადამჯდარ მშობელს აზრად არ მოუვა, რომ შვილი, თუ ბავშვს მონაცემები არა აქვს, ფიზიკა-მატემატიკურ სკოლაში მიიყვანოს და ამისთვის მთელი ქვეყანა შეაწრიალოს. სპორტში კი ეს ხდება. მშობლის არგუმენტი ამ შემთხვევაში ასეთია: „ნახეთ, ავარჯიშეთ, თუ გამოდგა, ხომ კარგი, თუ არა და, ჯანმრთელობას მაინც გაიკაუებს“. კი ბატონო, ვნახეთ, ვავარჯიშეთ, არ გამოდგა, დრო დაიკარგა, უპერსპექტივო ბავშვმა წლების განმავლობაში სხვისი ადგილი დაიკავა და დიდ სპორტში ცვლა, რომელსაც ასე ველოდით, ვერ მივიღეთ.

ჯანმრთელობას მაინც გაიკაუებსო... მოზარდის ჯანმრთელობა, ცხადია, ყველას უპირველესი საზრუნავია და ეს არავის ავიწყდება. ჩვენს რესპუბლიკას დღეს პირველი ადგილი უკავია სსრ კავშირში ფიზკულტურასა და სპორტში ფასიანი მომსახურების გაწევის შედეგებით. სააბონემენტო ჯგუფების რიცხვი, არ შევცდებით თუ ვიტყვით, ყოველდღე იზრდება, იქმნება რეალური და არა ფორმალური საფუძვლები მასობრიობისათვის. საუკეთესონი მწვრთნელებს თამამად გადაჰყავთ სპორტულ ჯგუფებში, კლასებში, რეკომენდაციებს უწევენ სპეციალიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში ვარჯიშის გასაგრძელებლად. აი, სწორი გზა!

სპეცკლასებისა და სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კონტიგენტის შემოწმების საკითხი შემთხვევით არ დამდგარა დღის წესრიგში. დიახ, სწორედ პროტექციონიზმმა გაამრუდა ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა, თუმცა, როგორც შემოწმებამ ცხადყო, მუშაობის ორგანიზაციაშიც ბევრი ხარვეზი შეიმჩნევა.

პროტექციონიზმს, ცხოვრების რომელ სფეროშიც უნდა გამოვლინდეს იგი, ერთი საერთო ნიშანი აქვს — უკვალოდ და უვნებლად არ ჩაივლის. ვიღაც და რაღაც რომ არ დაზარალდეს, არ იქნება. სპეცკლასები და სპეცსკოლები მხოლოდ ქართული სპორტის სამსახურში უნდა იდგეს, იქ მოხვედრის გზა უნდა გადავუკეტოთ ყველას, ვინც სპორტს ეტმასნება და სინამდვილეში არა ქართული სპორტის, არამედ პირადი ინტერესები ამოძრავებს.

ფეხბურთის ბედით დაინტერესებულ მკითხველს კარგად მოეხსენება, რამდენჯერ ითქვა და დაიწერა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღდგენის თაობაზე. აღდგა, ყველაფერი გაკეთდა და კეთდება, მაგრამ... ახლა ამ სკოლის კონტიგენტის 48 პროცენტი არ შეესაბამება სკოლაში ჩარიცხვის სანორმატივო მოთხოვნებს, 37 პროცენტი არასწორადაა განაწილებული სპორტულ ჯგუფებში, მხოლოდ 31,3 (!) პროცენტი ასრულებს რეჟიმით გათვალისწინებულ დატვირთვას, 29,3 პროცენტის დატვირთვა კი მოცულობის ნახევარს შეესაბამება. ამავე სკოლის XI კლასში ჩარიცხეს მოფარიკავე გოგონა (იმნაძე). როგორც გაირკვა, მაღალი რანგის არც ერთ შეჯიბრებაში ამ გოგონას მონაწილეობა არ მიუღია. საერთოდ სკოლის 510 მოსწავლიდან 280 ფეხბურთელია, 80 სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელი, 150 არასპორტსმენი (ძირითადად მიკრორაიონში მცხოვრები მოსწავლეები). დავუშვათ, სხვა გამოსავალი არ იყო და ბევრი ბავშვი ჰუმანური მოსაზრებით მშობლიურ სკოლას არ მოწყვიტეს, მაგრამ ვითომ ჰუმანურობაა ის, რომ V-XI კლასის არასპორტსმენ მოსწავლეებს საერთოდ არ უტარდებათ გაკვეთილები ფიზიკურ აღზრდაში? ვინ მისცა ამის უფლება თუნდაც მათ, ვინც სკოლის მუშაობის პრინციპებს განსაზღვრავს? სკოლაში ერთი ფიზკულტურის მასწავლებელია (შეთავსებით) და ისიც მხოლოდ I-IV კლასებში ატარებს გაკვეთილებს. საგანგაშო ისაა, რომ მშობლები, იმ ბავშვების მშობლები, რომლებსაც ფიზკულტურის გაკვეთილები არ უტარდებათ, განგაშს არ ტეხენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს სკოლა არასპორტსმენ მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია, ხელსაყრელია აქაური რეჟიმით, შემცირებული პროგრამით... იქნებ ამიტომაც ცდილობენ მშობლები აქვე დაამთავრებინონ სკოლა თავიანთ შვილებს?

საგანგაშო მდგომარეობაა სპორტული პროფილის 58-ე საშუალო სკოლაშიც, რომელიც ნიჭიერ კალათბურთელთათვის დაარსდა. ამ სკოლაში 280 ბავშვიდან 78 საერთოდ დებულების გვერდის ავლითაა ჩარიცხული. 118 მოსწავლე არასწორადაა განაწილებული სპორტულ ჯგუფებში, მხოლოდ კონტიგენტის ნახევარზე ოდნავ მეტია (58 პროცენტი) სრულად დატვირთული. კვების საკითხი კი აქ დღემდე მოუგვარებელია. 5 მოსწავლის ჩარიცხვაზე, რომლებიც ამჟამად XI კლასში სწავლობენ, დღემდე არაა ნებართვა. ესენი არიან ჭოჩაკიძე და ნიკოლაიშვილი (ორივე — ჩოგბურთი), შერაზადაშვილი (ძიუდო), მერკვილაძე (ნიჩბოსნობა) და კვირიკაძე (რეგბი). არ ვამბობთ, რომ ეს მოსწავლეები სპორტსმენები არ არიან, მაგრამ რატომ არ ვიცავთ დებულების მოთხოვნებს? არ შეიძლება გამართლება ყველაფერს მოეძებნოს, მათ შორის ამ ბავშვების კალათბურთის სკოლაში ჩარიცხვასაც. აქვე გვინდა დავსვათ კითხვა: როგორ, რა რეჟიმით და დღის განრიგით ვარჯიშობს ერთი ნიჩბოსანი, ერთი რეგბისტი, ერთი ძიუდოისტი და ორი ჩოგბურთელი? სათითაოდ? თუ არა, მაშინ მათთვის სულ ერთი არ არის რომელ სკოლაში იხწავლიან? აი, რა იწვევს ეჭვს!

ახლა ვნახოთ საერთოდ რა მდგომარეობაა რესპუბლიკის სპორტული პროფილის სპეცკლასებში. დაშვებული ლიმიტიდან განათლების სამინისტროს, მაგალითად, ათვისებული აქვს 88,8 პროცენტი, „დინამოს“ — 66,7 პროცენტი, პროფკავშირებს — 32,6 პროცენტი, „შრომით რეზერვებს“ კი ჯერ საერთოდ არ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯი. რესპუბლიკაში სპეცკლასები უნდა დაკომპლექტებულიყო სპორტის 23 სახეობის მიმდევრებით, დაკომპლექტებულია 17-ით. ასაკის გაუთვალისწინებლად შექმნა სპეცკლასები „დინამომ“ ზამთრის სახეობებში (ნაცვლად VII კლასისა, შეიქმნა II-III კლასელთა ჯგუფები); განათლების სამინისტრომ ფარიკაობაში (ნაცვლად VIII კლასისა, VI კლასი) და ფრენბურთში (ნაცვლად VII კლასისა V კლასი) და ა. შ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ან დებულებას და ინსტრუქციებს არ კითხულობენ, ან კითხულობენ და ისე იაზრებენ მას, როგორც სურთ, განმკითხავი კი არავინაა, ყველგან დარღვევები და თვითნებობაა. ბევრგან ერთ კლასში ნახავთ სპორტსმენსაც, ფიზკულტურელსაც და არასპორტსმენსაც (არაფიზკულტურელზე აღარაფერს ვამბობთ, როგორც ეს 35-ე სკოლაშია). ვის აძლევს ხელს ასეთი აღრევა და ქაოსი მაშინ, როცა საქმეს ვიწყებთ, როცა ამდენი რამ გაკეთდა, ამდენი შრომა, სახსრები და ენერგია დაიხარჯა? არა, საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულებით ნამდვილად ვერაფერს შევმატებთ ჩვენს სპორტს. სპეცკლასებისა და სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ამოცანაა საიმედო ცვლა აღზარდონ, ხოლო თუ ვინ მოვა ხვალ ნაკრებ გუნდში, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, დღეს ვის მივიღებთ სპეცკლასებსა და სპეცსკოლებში.

მეტი ყურადღება, სიფრთხილე და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობა გვმართებს!

4 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

# სულისა და სხეულის მწვრთნელი

**ზუგდიდის** მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებს რომ ჰკითხოთ, რომელი საგანი და მასწავლებელი გიყვართ ყველაზე მეტადო, ფიზკულტურა და ნელი მასწავლებელიო, — უყოყმანოდ გიპასუხებენ.

ნელი ფარცვანია თითქმის ოცდასამი წელია სკოლაში ფიზკულტურას ასწავლის. სტუდენტობას დაემშვიდობა თუ არა, პირდაპირ შეათეკლასელებთან მოუხდა გაკვეთილის ჩატარება.

— ძალიან ვღელავდი, — მეუბნება ქალბატონი ნელი. — ოთხიხუთი წლით ვიყავი ჩემს მოსწავლეებზე უფროსი. ბიჭებმა ცოტა „ამირიეს“, მაგრამ მალე შევძელი მათი გულის მოგება. გოგოებთან კი დიდხანს მომიხდა „ომი“ — სპორტული ფორმა ვერაფრით ვერ ჩავაცვი. თუმცა, ეს მეოთხედი საუკუნის წინანდელი ამბებია. ახლა, ალბათ ცოტაა ადამიანი, რომელიც ფიზიკური ამტანობის გამომუშავებაზე არ ზრუნავდეს.

ჩვენს სკოლაში ათასზე მეტი მოსწავლეა, რასაკვირველია, მათ მიმართ მოთხოვნა სხვადასხვაგვარია. მთავარი ის არის, რომ არც ერთი ნორჩი, არც ერთი მოზარდი ფიზკულტურის გაკვეთილისა და სპორტული წრის მიღმა არ დარჩეს. დღეს ფიზკულტურის მასწავლებელს დიდი ჯაფა ადგას. რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ ნებისმიერი სპორტული ღონისძიებისა თუ შეჯიბრების ჩატარება მხოლოდ ფიზკულტურის მასწავლებლების მოვალეობაა, მაგრამ რა ქნას ერთმა პედაგოგმა, რომელსაც ამდენი მოსწავლე ეხვევა გარს? ჩემი აზრით, მხარში უნდა ამოგვიდგეს სკოლის დირექცია, განათლების სისტემის სხვა მუშაკები და ყველა ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი აქვს ბავშვთა სპორტის განვითარებასთან.

ჩვენს სკოლას ძალზე პატარა სპორტული დარბაზი აქვს. იგი ვერც „მინი სპორტის“ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სასწავლო პროგრამა კი ისე რთულია, გამოცდილ სპორტსმენებსაც გაუჭირდებათ მისი მთლიანად შესრულება. დიდი ხანია გაფართოებას გვპირდებიან, მაგრამ სასიკეთო ძვრები არა და არ ჩანს. წარმოიდგინეთ, ქალაქის სპორტსკოლის მოსწავლეებიც ჩვენს დარბაზში ვარჯიშობენ. ნუთუ არ დადგა დრო, რომ ზუგდიდის სპორტსკოლასაც ჰქონდეს თავისი შენობა? არც სპორტული ინვენტარი გვაქვს, რის გამოც ხშირად პროგრამის შეცვლა მიხდება.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ სკოლებში ძალიან გვეჩაგრება დაწყებითი კლასები. მათ უნდა ჰყავდეთ თავიანთი ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელიც სისტემატურად იმუშავებს პატარებთან. გადავწყვიტე პატარებთან ერთი გაკვეთილი ჩამეტარებინა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ უხარიათ მათ ყოველი ფიზკულტურის გაკვეთილი, ყოველი შეჯიბრება.

მიუხედავად ცუდი პირობებისა, წარმატებებსაც ვაღწევთ. ჩვენი სკოლის მოსწავლეები საქალაქო შეჯიბრებებში ყოველთვის საპრიზო ადგილებზე გადიან. ხშირად ზონალურშიც იმარჯვებენ. არც ისე დიდი ხნის წინათ სკოლაში დავნერგეთ ვარჯიში მუსიკის თანხლებით, პირველად ჩვენს სკოლაში მოვაწყვეთ ექსპერიმენტი: ყოველი კლასის დამრიგებელი მოვალეა თავის კლასთან ერთად გამოვიდეს სტადიონზე, სადაც ვმართავთ პატარა კროსებს. ამან კარგი შედეგი გამოიღო. სკოლის დირექცია აპირებს ამგვარ ვარჯიშებს სისტემატური ხასიათი მისცეს.

ბავშვთა ფიზკულტურა, ბავშვთა სპორტი ეროვნული დიდი სპორტის საფუძველთა საფუძველია. ერთი და ორი მონდომებული კაცი ამას ვერა და ვერ გასწვდება. ეს კოლექტიური ზრუნვის საგანია. და რადგან შვილი ყველაზე მეტად მშობელს ჰბაძავს, უპირველესად მშობელზეა დამოკიდებული, დააწყებს თუ არა მოზარდი სხეულის წრთობას.

...ნელი ფარცვანიას სულისა და სხეულის მწვრთნელს ეძახიან მისი ნაცნობ-მეგობრები. ჩვენი მეორე დედაო, ამბობენ მისი მოსწავლეები.

...კარგად რომ დაბინდდება, მხოლოდ მაშინ გამოიხურავს დარბაზის კარს და ხვალინდელ დღეზე ფიქრით შინისკენ მიმავალ გზას გაუყვება.

**მანანა სოხელია.**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**

ზუგდიდი.

### კვირიდან კვირამდე

**„კომსომოლსკაია პრავდა“**

**30 სექტემბერი.** დარჩება თუ არა ლენინგრადის „ზენიტი“ უმაღლეს ლიგაში? ეს კითხვა ძალზე მწვავედ დგას გუნდის წინაშე.

**„იზვესტია“ — 29 სექტემბერი.** „დნეპრი“ იწყებს ექსპერიმენტს“. კორესპონდენტის შეკითხვებს პასუხობს „დნეპრის“ საფეხბურთო კლუბის თავმჯდომარე გ. ქიზდიკი.

**3 ოქტომბერი.** რუბრიკით „სპეციალისტის აზრი“ ჩოგბურთის პრობლემებზე გვესაუბრება სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ბ. ფომენკო.

**„სოვეტსკი სპორტი“ — 29 სექტემბერი.** „ჩხუბის შემდეგ“. გაზეთი უბრუნდება 20 სექტემბერს კიევში, ადგილობრივი „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩისშემდგომ ამბებს.

**30 სექტემბერი.** „დიქტატორის „საფეხბურთო სინდრომი“. 10-დან 25 ოქტომბრამდე ფეხბურთში იუნიორთა VI მსოფლიო ჩემპიონატს ჩილი უმასპინძლებს, ფინალური მატჩი კი სანტიაგოს ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

**1 ოქტომბერი.** „ნაცარი თვალებში“. მითი და სიმართლე „სიმაღლის სკოლის“ შესახებ.

**3 ოქტომბერი.** „ჩამქრალი ვარსკვლავის შუქი“. რატომ ხდება, რომ ისინი, ვისაც შეეძლო გამოჩენილიყვნენ მწვრთნელები, მასწავლებლები, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ არჩევანს აკეთებენ?

რუბრიკის „სპორტის ვარსკვლავები სტუმრად „სოვეტსკი სპორტში“ სტუმარია უნგრელი მოცურავე ტამაშ დარნიი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის 26-ე ტურის მეტად საინტერესო მატჩი ადგილობრივ ცსკა-სა და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" შორის. ამ მატჩის დიდი მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ „დნეპრი" ოქროს მედლების ერთ-ერთი პრეტენდენტია. რაც შეეხება ცსკა-ს, იგი გათამაშების ცხრილის ბოლოში იმყოფება, მის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის „დინამოს", ლანჩხუთის „გურიისა" და სხვა გუნდებისთვის.

თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

# ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისში შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა. თბილისის დინამოელებმა მიიღეს ლანჩხუთის „გურია".

მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 3:1. პირველი ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა ლანჩხუთელმა გოგიჩაიშვილმა, გოლი გაქვითა ფანცულაიამ, შემდეგ მიქაშავიძემ პენალტით და კაკილაშვილმა წინ გაიყვანეს „დინამო".

მეტოქეთა შემადგენლობები: „**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**" — ჰანტურია (ბაბუაძე), ფირცხალავა, თეთრაძე, ჩხაიძე (წიკლაური), თედეევი, კაკილაშვილი, სვანაძე, გუბაზი, ფანცულაია, აჯოევი (ქიმკარიანი), მიქაშავიძე; „**ᲒᲣᲠᲘᲐ**" — გ. იმნაძე, გუჯაბიძე, მ. თევზაძე (სანაძე), ლორია, ი. იმნაძე, ნარიაშვილი, წილოსანი, ქურიძე, ძნელაძე, გოგიჩაიშვილი, კუკულაძე.

# ᲛᲡᲐᲯᲗᲐ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲘ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა არბიტრთა სია, რომლებიც იმსაჯებენ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებს.

დღევანდელ თამაშს თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" შორის იმსაჯებს ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

**16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო". ნ. იუროვი (ტომსკი).

**17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „გურია" — „მეტალისტი". ი. სავჩენკო (მოსკოვი).

**31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „დინამო" (თბილისი) — „მეტალისტი". ა. სპირინი (მოსკოვი). „გურია" — „ტორპედო". რ. იუშკა (ვილნიუსი).

მინსკისა და მოსკოვის დინამოელთა მატჩს 16 ოქტომბერს იმსაჯებს თბილისელი არბიტრი ვ. მიმინოშვილი.

## I ᲚᲘᲒᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** ბათუმსა და ქუთაისში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 37-ე ტურის მატჩები ადგილობრივი გუნდების მონაწილეობით.

ბათუმის დინამოელებმა მიიღეს ზაპოროჟიეს „მეტალურგი".

გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:3.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ბოლო ადგილზე მყოფი ადგილობრივი „ტორპედო" და გათამაშების ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ნიკოპოლის „კოლოსი".

თამაშის შედეგია ფრე — 1:1.

ლიგის ლიდერმა ოდესის „ჩერნომორეცმა" გუშინ ლუგანსკში მარცხი განიცადა „ზარიასთან" შეხვედრაში — 0:1.

# ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ ციურიხში მოეწყო ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა. გთავაზობთ ამ წყვილების სრულ სიას.**

### ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

### ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

„ქსამაქსი" (შვეიცარია) — „ბაიერნი" (გფრ)

„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „პორტო" (პორტუგალია)

„ბორდო" (საფრანგეთი) — „ლილესტრიომი" (ნორვეგია)

„ორჰუსი" (დანია) — „ბენფიკა" (პორტუგალია)

„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — „გურნიკი" (პოლონეთი)

„სპარტა" (ჩეხოსლოვაკია) — „ანდერლეხტი" (ბელგია)

„რაპიდი" (ავსტრია) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია)

„სტიაუა" (რუმინეთი) — „ომონია" (კიპროსი)

### ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

### ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

**„რეალი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „დინამო" (მინსკი)**

„იუნგ ბოიზი" (შვეიცარია) — „ჰააგა" (ჰოლანდია)

„ვლაზნია შკოდრა" (ალბანეთი) — „როვანიემი" (ფინეთი)

ოფი (საბერძნეთი) — „ატალანტა" (იტალია)

„კალმარი" (შვეცია) — „სპორტინგი" (პორტუგალია)

„ჰამბურგი" (გფრ) — „აიაქსი" (ჰოლანდია)

„სენტ-მირენი" (შოტლანდია) — „მეჰელენი" (ბელგია)

„მარსელი" (საფრანგეთი) — „ჰაიდუკი" (იუგოსლავია)

### ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲗᲐᲡᲘ

### ᲛᲔᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

**„ვერდერი" (ბრემენი, გფრ) — „სპარტაკი" (მოსკოვი)**

**„ბარსელონა" (ესპანეთი) — „დინამო" (მოსკოვი)**

**„ვიქტორია" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დინამო" (თბილისი)**

„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) — „ვიტკოვიცე" (ჩეხოსლოვაკია)

„სპორტული" (რუმინეთი) — „ბრიონდბიუ" (დანია)

„ინტერი" (იტალია) — „ტურუნ პალოსეურა" (ფინეთი)

„ბევერენი" (ბელგია) — „გიმარაეში" (პორტუგალია)

„მილანი" (იტალია) — „ესპანიოლი" (ესპანეთი)

„ვისმუტი" (გდრ) — „ფლიამურტარი" (ალბანეთი)

„აბერდინი" (შოტლანდია) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია)

„შავიში" (პორტუგალია) — „ჰონვედი" (უნგრეთი)

„ვერონა" (იტალია) — „უტრეხტი" (ჰოლანდია)

„ბორუსია" (დორტმუნდი, გფრ) — „ველეჟი" (იუგოსლავია)

„ტულუზა" (საფრანგეთი) — „ბაიერი" (ლევერკუზენი, გფრ)

„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „იუვენტუსი" (იტალია)

„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „ბრიუგე" (ბელგია)

# ᲛᲪᲘᲠᲔ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲖᲔ

**თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს უეფა-ს თასზე წილისყრამ მეთექვსმეტედფინალში მეტოქედ არგუნა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის „ვიქტორია". დაწვრილებით ცნობებს ამ გუნდის შესახებ, რა თქმა უნდა, გამოვაქვეყნებთ, ჯერჯერობით კი გულშემატკივრებს შეგვიძლია შევატყობინოთ, რომ ევროპულ საკლუბო ტურნირებში „ვიქტორია" პირველად ხვდება საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენელს. ამ გუნდმა რუმინეთის გასულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, ამჟამად მიმდინარე გათამაშებაში კი 5 ტურის შემდეგ მეხუთე ადგილზეა. „ვიქტორიას" 7 ქულა აქვს და მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება ჩემპიონატის ლიდერებს.**

# SOS

# ᲠᲐᲡ ᲕᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲗ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ: ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲗᲣ ᲛᲣᲨᲢᲘ-ᲙᲠᲘᲕᲡ?

**ᲐᲛᲐᲡ** წინათ „ლელოში" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი იმის თაობაზე, რომ თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე II ლიგის ფეხბურთელთა მატჩების დღეებში არ არის სათანადო წესრიგი, აქ ჯერ კიდევ ვერ შექმნეს ის სპორტული ატმოსფერო, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ოსტატთა კატეგორიის საკავშირო შეჯიბრებათა ნორმებს, ფეხბურთის მატჩის სანახავად მოსულ მშრომელ კაცს სტადიონზე არ ხვდებიან ისე, როგორც ეს თანამედროვე სპორტულ ბაზას ეკადრება.

თბილისის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „შევარდენის" ხელმძღვანელობისგან ოპერატიულად მივიღეთ პასუხი, რომელშიც გვარწმუნებდნენ, რომ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გატარებულია სასწრაფო ზომები და ამ სტადიონზე მომავალში ყველაფერი გაკეთდება მაყურებელთა საუკეთესო მომსახურებისთვის.

მაგრამ, როგორც 2 ოქტომბერს თბილისის „შევარდენი"-სპი-სა და ქ. ყაზახის „გოიაზანის" მატჩის მსვლელობამ დაადასტურა, ქარხნის სპორტკლუბმა ამაოდ დაგვაიმედა, წესრიგში მოსაყვანი აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა.

დავიწყოთ იმით, რომ 2 ოქტომბერს ადგილობრივი რადიოთი არ გამოუცხადებიათ არც გუნდების შემადგენლობანი და არც მსაჯთა ვინაობა, ეს კი აუცილებელია იმ ბაზებზე, სადაც საკავშირო მნიშვნელობის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩები ტარდება. სტადიონის ადმინისტრაციას არ ჰყავდა გამოყოფილი მორიგე მსაჯი, რომელიც ფეხბურთელთა შეცვლისას სპეციალური ფარებით აჩვენებდა მაყურებლებს თუ ვინ გადის და ვინ შემოდის. ამ დროს რადიოც დუმდა.

ჩვენ ვიცით, რომ ამ სტადიონზე მალე დაიწყება რეკონსტრუქცია, იგი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება არა მარტო თბილისში. მაგრამ ვშიშობთ, რომ თუ აქაური „მასპინძლობა" ამგვარ გულგრილ ტრადიციად იქცა, საავიაციო ქარხნის ეს შესანიშნავი ბაზა შესაფერის პოპულარობას ვერ მოიპოვებს მაყურებლებში.

ახლა თვით თამაშის შესახებ. ხშირად უხეშობდნენ და დისციპლინას არღვევდნენ სტუმარი გუნდის ფეხბურთელები და მათი ხელმძღვანელები. „გოიაზანმა" ეს მატჩი წააგო და შინ გაემგზავრა, მაგრამ, უფრო მეტად ჩვენ გვაინტერესებს არა მეტოქის, არამედ ჩვენი გუნდის მოთამაშეთა საქციელი, აქ კი ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე არ არის. მთელი თამაშის მსვლელობაში „შევარდენი"-სპი-ს ფეხბურთელები ეკინკლავებოდნენ მეტოქეებსა და მსაჯებს, უხეშობდნენ, ერთი-ორჯერ მუშტები და წიხლებიც ჩართეს საქმეში, მატჩის დამთავრების შემდეგ კი საფეხბურთო მოედანი ერთიანად დაიფარა მაყურებლებით, რომლებიც ტრიბუნებიდან გადმოცვივდნენ სათამაშო ასპარეზზე. მილიციის წარმომადგენლები ამ დღეს საკმაოდ იყვნენ სტადიონზე, მაგრამ რას გააწყობ, როცა გულშემატკივართა დიდი მასა გადმოცვივდება უშუალოდ მწვანე მინდორზე და გადაკეტავს გზას როგორც სპორტსმენთა გასახდელების, ისე სამსაჯო ოთახისკენ.

ერთი სიტყვით, ეს იყო ფრიად უსიამოვნო, სავალალო სურათი. ცხადია, აქ არავინ ატარებს შესაბამის მუშაობას მაყურებლებთან, არ ფიქრობს სრული წესრიგის დამყარებაზე, არ არიან რაზმელები. და ეს მაშინ, როცა მაყურებელთა უმეტესობა ჩვენი სახელოვანი საავიაციო ქარხნის მუშები და საფეხბურთო სკოლა „შევარდენის" აღსაზრდელებია.

საკავშირო სპორტკომიტეტის ახლანდელი დადგენილებით ამგვარი ინციდენტებისთვის სპორტულ ბაზას დისკვალიფიკაცია ეძლევა და ფეხბურთის გუნდს ეკრძალება თავის ქალაქში თამაში. განა სირცხვილი არაა, რომ თბილისის „შევარდენი"-სპი-მ თავისი სტადიონის ნაცვლად სადღაც სხვაგან ითამაშოს?

ჩვენი აზრით, რახან სპორტკლუბ „შევარდენის" ხელმძღვანელობას და სტადიონის ადმინისტრაციას არ შეუძლიათ ბაზაზე საჭირო წესრიგის დამყარება, საქმეში უნდა ჩაერიოს ქარხნის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია. წესრიგია დასამყარებელი თვით ფეხბურთელთა გუნდშიც, რომელშიც გამოცდილი ფეხბურთელები და სტუდენტები გამოდიან. მატჩზე მოსულ მაყურებლებს მაღალი კლასის ფეხბურთი უნდა დაახვედრო და არა მუშტი-კრივი. ეს ელემენტარული თავაზიანობის სავალდებულო ნორმებია, რომლებიც არ უნდა დაივიწყოს ოსტატმა სპორტსმენმა. მით უმეტეს, თუკი იგი ეხოდენ სოლიდური ქარხნისა და ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელია!

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

# გათამაშების ცხრილები · მეორე ჯგუფი

### I ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბახტრიონი" ახმეტა | 25 | 19 | 2 | 4 | 57-21 | 40 |
| „მეტალისტი" რუსთავი | 25 | 15 | 4 | 6 | 41-27 | 34 |
| „მშენებელი" რუსთავი | 26 | 14 | 5 | 7 | 49-29 | 33 |
| „სამგორი" გარდაბანი | 26 | 14 | 4 | 8 | 42-26 | 32 |
| სასწ.-საცდელი მეურნეობა მუხრანი | 26 | 12 | 8 | 6 | 35-22 | 32 |
| „თუშეთი" ქვემო ალვანი | 26 | 13 | 3 | 10 | 52-37 | 29 |
| „ჰერეთი" ლაგოდეხი | 25 | 12 | 5 | 8 | 41-23 | 29 |
| „სპი-დინამო"-3 თბილისი | 22 | 11 | 5 | 6 | 43-30 | 27 |
| სახელმწ. უნივერსიტ. თბილისი | 21 | 11 | 5 | 5 | 27-18 | 27 |
| „ალაზანი" გურჯაანი | 25 | 9 | 9 | 7 | 40-25 | 27 |
| „ფოსტამტი" თბილისი | 23 | 10 | 6 | 7 | 49-37 | 26 |
| „გარეჯი" საგარეჯო | 25 | 8 | 5 | 12 | 34-45 | 21 |
| „მიონი"-35 თბილისი | 24 | 8 | 4 | 12 | 33-48 | 20 |
| „ვარდისუბანი" ლაგოდ. რ. | 25 | 7 | 3 | 15 | 31-40 | 17 |
| სასოფლო-სამეურნეო ინსტიტ. თბ. | 22 | 4 | 6 | 12 | 24-41 | 14 |
| „სინათლე-სპორტინტერნატი" თბილისი | 22 | 4 | 5 | 13 | 25-49 | 13 |
| „შირაქი" წითელწყარო | 25 | 4 | 2 | 19 | 23-65 | 10 |
| „ქიზიყი" სიღნაღი | 25 | 2 | 1 | 22 | 23-86 | 5 |

### II ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არაგვი" დუშეთი | 25 | 16 | 8 | 1 | 58-22 | 40 |
| „თორი" ბორჯომი | 25 | 15 | 5 | 5 | 51-19 | 35 |
| „ვარძია" ასპინძა | 26 | 15 | 4 | 7 | 49-30 | 34 |
| „მესხეთი" ახალციხე | 26 | 15 | 3 | 8 | 59-38 | 33 |
| „აბული" ახალქალაქი | 26 | 14 | 5 | 7 | 54-32 | 33 |
| „მეფრინველე" კასპი | 26 | 13 | 4 | 9 | 39-30 | 30 |
| „ალგეთი" მარნეული | 26 | 12 | 6 | 8 | 37-22 | 30 |
| „კოლმეურნე" მარნეული | 25 | 11 | 5 | 9 | 45-41 | 27 |
| „თრიალეთი" წალკა | 25 | 11 | 4 | 10 | 38-46 | 26 |
| „ავტომობილისტი" გორი | 26 | 10 | 5 | 11 | 43-37 | 25 |
| „გარისი" თეთრიწყ. | 25 | 11 | 2 | 12 | 44-41 | 24 |
| „მეავეჯე" ახალდაბა | 25 | 8 | 8 | 9 | 34-36 | 24 |
| „მარაბდა" კოდა | 26 | 8 | 7 | 11 | 35-42 | 23 |
| „ლიახვი" ცხინვ. რ-ნი | 26 | 8 | 6 | 12 | 30-40 | 22 |
| „ზარზმა" ადიგენი | 26 | 6 | 8 | 12 | 43-55 | 20 |
| „ფარვანა" ბოგდანოვკა | 25 | 5 | 3 | 17 | 24 48 | 13 |
| „განთიადი" დმანისი | 25 | 5 | 2 | 18 | 25-71 | 12 |
| „ბაგიათი" ჯავა | 26 | 3 | 3 | 20 | 18-76 | 9 |

### III ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადაროელი" ჭიათურა | 24 | 18 | 2 | 4 | 79-37 | 38 |
| „ჩხერიმელა" ორჯონიკიძე | 24 | 14 | 5 | 5 | 34-19 | 33 |
| „იმერეთი" წულუკიძე | 24 | 12 | 8 | 4 | 36-15 | 32 |
| „საირმე" მაიაკოვსკი | 25 | 13 | 5 | 7 | 43-27 | 31 |
| „ჩიხურა" საჩხერე | 24 | 13 | 4 | 7 | 49-39 | 30 |
| ხდკ სამტრ. | 25 | 13 | 3 | 9 | 53-37 | 29 |
| „მამისონი" ონი | 24 | 12 | 4 | 8 | 46-39 | 28 |
| „ქიმიკოსი" ამბროლაური | 25 | 12 | 4 | 9 | 48-46 | 28 |
| „ორპირი" ტყიბულის რ. | 24 | 11 | 3 | 10 | 33-39 | 25 |
| „ზანა" აბაშა | 25 | 10 | 4 | 11 | 44-42 | 24 |
| პოლიტექ. ინსტიტ. ქუთაისი | 24 | 9 | 5 | 10 | 51-49 | 23 |
| „მშენებელი" ჭიათურა | 24 | 7 | 7 | 10 | 35-45 | 21 |
| „ცენტრმეტალურგმშენი" ზესტაფონი | 24 | 6 | 8 | 10 | 36-44 | 20 |
| „იბერია" ქარელი | 25 | 5 | 6 | 14 | 27-58 | 16 |
| „მეშაქრე" აგარა | 25 | 4 | 6 | 15 | 32-58 | 14 |
| „ჭოგნარი" თერჯ. რ-ნი | 24 | 5 | 3 | 16 | 32-62 | 13 |
| „ხვამლი" ცაგერი | 24 | 4 | 1 | 19 | 37-59 | 9 |

### IV ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური" გალი | 24 | 18 | 6 | 0 | 61-25 | 42 |
| „კოლხეთი"-2 ფოთი | 25 | 13 | 7 | 5 | 54-35 | 33 |
| „ჩიბათი" ლანჩხუთი | 23 | 14 | 4 | 5 | 57-26 | 32 |
| „ოდიში" ზუგდიდი | 23 | 13 | 6 | 4 | 56-29 | 32 |
| „დარჩელი" ზუგდიდის რ. | 24 | 12 | 7 | 5 | 37-39 | 31 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 23 | 13 | 4 | 6 | 42-29 | 30 |
| „სუბტროპიკი" სოხუმი | 25 | 12 | 5 | 8 | 40-34 | 29 |
| „დვაბზუ" მახარაძე | 23 | 11 | 6 | 6 | 49-35 | 28 |
| „ნარინჯი" ქობულეთი | 22 | 11 | 4 | 7 | 39-26 | 26 |
| „უნივერსიტეტი" სოხუმი | 24 | 11 | 4 | 9 | 34-34 | 26 |
| „ალიონი" გალის რ-ნი | 25 | 8 | 7 | 10 | 47-59 | 23 |
| „განთიადი" გაგრა | 25 | 7 | 6 | 12 | 39-39 | 20 |
| „ავტომობილისტი" ბათუმი | 24 | 6 | 4 | 14 | 25-41 | 16 |
| „მეშახტე" ტყვარჩელი | 24 | 7 | 1 | 16 | 39-69 | 15 |
| „ნარინჯი" გონიო | 24 | 3 | 5 | 16 | 32-51 | 11 |
| „დინამო"-2 ბათუმი | 22 | 2 | 2 | 18 | 26-63 | 6 |
| „განთიადი" ცხაკაია | 24 | 1 | 2 | 21 | 30-73 | 4 |

## ველოსიპედი - მარათონი

**პუსანი** (სამხრეთ კორეა). აფროსანთა წინასაოლიმპიადო ტურნირში ინგლისელმა სპორტსმენებმა სამი პირველი ადგილი დაიკავეს („ფინი", 470 — ქალებსა და ვაჟებში). ორ-ორი უმაღლესი ჯილდო აშშ-სა და საფრანგეთის აფროსნებს ხვდათ წილად. „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში გამარჯვება დანიელებს დარჩათ.

**ლატაკია.** ხმელთაშუაზღვის ქვეყნების X თამაშებზე იტალიელმა ველოსიპედისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. გუნდურ რბოლაში ამ ქვეყნის ნაკრებმა, რომელიც მთლიანად მსოფლიო ჩემპიონებით იყო დაკომპლექტებული (რ. ფორტუნატო, ე. პოლი, მ. შირეა, ფ. ვანცელა) პირველი ადგილი დაიკავა — 2:14.22. ჯგუფური რბოლაც 170 კილომეტრზე იტალიელმა ა. გელფიმ მოიგო — 4:48.11.

**კარლოვი-ვარი.** აქ დამთავრდა ვეტერან მძლეოსანთა ევროპის მეხუთე ჩემპიონატი გზატკეცილზე რბენაში. შვიდი ასაკობრივი ჯგუფის სპორტსმენები 10 და 25 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. ამ შეჯიბრებაში ნაჩვენები ზოგიერთი შედეგი მართლაც ყურადსაღებია, კერძოდ 40-45 წლის სპორტსმენთა შორის ბელგიელმა ომარ ვან ნოტენმა 10 კილომეტრი საკმაოდ კარგ დროში გაირბინა — 31.34.

**ჯაკარტა.** სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მე-14 თამაშებში წარმატებას ინდონეზიის სპორტსმენებმა მიაღწიეს. მათ სულ 137 მედალი მოიპოვეს. მეორე ადგილზე ფილიპინების გუნდი გავიდა (59 მედალი), მესამეზე — შარშანდელ თამაშებში გამარჯვებული ტაილანდის ნაკრები (58 მედალი).

**დონეცკი.** დევისის თასის გათამაშების ევროპის პირველი ზონის ფინალურ ტურნირში ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. ჯერჯერობით სტუმრები დაწინაურდნენ — 1:0. ეს ერთადერთი ქულა თავის კოლექტივს სტუმრების გუნდის „მეორე ჩოგანმა" კ. მეზადრიმ მოუტანა. მან ა. ზვერევი ხუთ პარტიაში დაამარცხა — 7:5, 6:2, 5:7, 0:6, 6:0.

**დნეპროპეტროვსკი.** საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის (გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას" პრიზზე) მორიგი ეტაპი ხარკოვი — დნეპროპეტროვსკი გორკელმა ა. კონიშევმა მოიგო. მან 228 კილომეტრი 5:05,52-ში დაფარა. სამი ეტაპის ჯამში წინ არმიელი ველოსიპედისტები არიან, რომლებიც უახლოეს მეტოქეს 4 წამს უგებენ.

## კალეიდოსკოპი

### დიაგნოზი... „ბრეიქი"!

ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება ავადმყოფთა რიცხვი, რომელთა დიაგნოზია... „ბრეიქი". სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ამ თანამედროვე ცეკვის დროს ტრავმები უფრო ხშირია, ვიდრე ძალოსნობის, ცურვის ან მარათონული სირბილით ვარჯიშისას.

ამერიკის ქალაქ სან-დიეგოს საავადმყოფოებში მოთავსებული არიან ავადმყოფები ხერხემლის და კისრის მალების დაზიანებით, მოტეხილი ან ამოვარდნილი კიდურებით, ზოგიერთი კი ხშირად თავზე ტრიალის გამო გამელოტებასაც უჩივის.

### გაიცანით ახალი სახეობა

**მოტოტრიალი.** ტრიალი (სამ სახეობას აღნიშნავს) მოტოსპორტსაც მიესადაგა და ამ სიახლემ სწრაფად იწყო გავრცელება მთელს მსოფლიოში...

...მსუბუქ მოტოციკლზე ამხედრებული მრბოლი საწერ მაგიდას უვლის, თითქოს მასზე ასასვლელ იოლ გზას ეძებს, „ბოგირით" მძიმე-მძიმედ აჰყავს „რკინის რაში" მაგიდაზე ისე, რომ ფეხებით იატაკს არ ეხება. შემდეგ კი, ვითომც აქ არაფერიო, მაგიდაზე იწყებს მოტოციკლით წინ და უკან სვლას...

ეს არც საცირკო ატრაქციონი გახლავთ და არც მოტოკასკადიორთა გამოსვლა — ეს, მოტოტრიალის ოსტატები ასპარეზობენ. ამას წინათ ამ ახალ სახეობაში მეორე საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა ლატვიის ქალაქ ტუკუმსში.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ჩვენში ჯერ მოტოტრიალის აღჭურვილობა საკმაოდ ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს (ჩვენი მოტოქარხნები მხოლოდ ახლა იწყებენ საცდელი პარტიების გამოშვებას), საბჭოთა ნაკრები ვერ გამოვა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ფინეთის ქალაქ ტამპერეში გაიმართება. რაც შეეხება მოტოტრიალის პოპულარობას, სპორტის ამ სახეობას ჯერჯერობით ბალტიისპირეთის, უკრაინის რესპუბლიკებსა და რსფსრ-ში ჰყავს მიმდევრები.

### პროფესია შეიცვალა

შვედი ჩოგბურთელი ჰანს სიმონსონი სპორტულ სამყაროში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. 1983 წელს მან საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ვაჟთა წყვილების თანრიგი მოიგო, 1983 და 1984 წლებში კი თანაგუნდელებთან ერთად დევისის თასის გათამაშების ფინალში მონაწილეობდა.

მაგრამ ჩოგბურთელის კარიერა მას როგორც ჩანს მოსწყინდა და ამას წინათ პროფესია შეიცვალა.

— ამიერიდან კორტზე ვერავინ მნახავს, ამაყად განაცხადა 25 წლის ექსჩოგბურთელმა. ჩემი მოწოდება მუდამ ავტოსპორტი იყო და ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია მას ვემსახურო.

სპეციალისტების აზრით სიმონსონი ამ, მისთვის ახალ სახეობაშიც წარმატებას მალე მიაღწევს. ერთი შეჯიბრება დებიუტანტმა უკვე მოიგო კიდეც. ეს გახლდათ ნორვეგიის ტური საგზატკეცილო-წრიულ რბოლაში. ამ გამარჯვების შემდეგ ახალბედა ავტომობილისტები „ფორდის" გუნდში ჩარიცხეს.

### შემთხვევა ტრასაზე

ავსტრიაში, ოსტერრაიხრინგზე, საწვრთნელი რბოლის დროს, ცდილობდა რა გაესწრო ნელსონ პიკესა და ნაიჯელ მენსელისათვის, შვედი ავტომრბოლი სტეფან იოჰანსონი დაეჯახა... ირემს. ეს მოხდა ავსტრიის „დიდი პრიზის" („ფორმულა-1"-ით) გათამაშების წინა დღეს.

იოჰანსონმა, რომელიც ცხოველს 150 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას შეეჯახა, შემთხვევის შემდეგ ინტერვიუში განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ ცოცხალი დავრჩი". მან მკაცრად გააკრიტიკა ტრასის მომსახურე პერსონალი და მსაჯები იმის გამო, რომ ყვითელი ალმით დროულად არ შეატყობინეს ავტომრბოლებს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ.

იოჰანსონის „მაკლარენი" ძლიერმა დარტყმამ ტრასიდან გადააგდო. მანქანა აფეთქდა, მაგრამ ცეცხლი მალე ჩააქრეს და სპორტსმენი არ დაშავებულა.

შემთხვევის ადგილიდან საკაცით წაიყვანეს [illegible] ტანელი [illegible] ხეზუული დერეკ უორვიკი. [illegible] სიმხლით.

ასეთი შემთხვევები თურმე ხშირი ყოფილა ამ ტრასაზე. საქმე ის არის, რომ „ოსტერრაიხრინგი" გადის ტყეში — ტყის ბინადართა სამფლობელოში.

აქვე, შარშან კატასტროფაში მოჰყვა დერეკ უორვიკი, 1975 წელს კი ამ ტრასამ იმსხვერპლა ამერიკელი სპორტსმენი მარკ დონოჰიუ.

### „მარლბორო მაკლარენ — ჰონდა"

ცნობილი გახდა, რომ მომავალი წლიდან „ფორმულა-I"-ის მსოფლიო ჩემპიონატში იაპონური „ჰონდას" ფირმის ძრავით კიდევ ერთი გუნდი იასპარეზებს. ეს გახლავთ ახლანდელი „მაკლარენ-პორშე". როგორც იცით, ამ გუნდმა დიდ წარმატებებს მიაღწია იმ წლებში (1984-1985 წ.წ.), როცა მის ღირსებას ავსტრიელი ნიკი ლაუდა და ფრანგი ალენ პროსტი იცავდნენ. კონსტრუქტორთა პირველობაზე „მაკლარენი" მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 1986 წლის ლაურეატი „ვილიამს ჰონდა" იყო. მომავალი წლიდან „ლოტუს ჰონდას" № 1 ავტომრბოლი, ბრაზილიელი აირტონ სენა „მაკლარენში" გადავა ალენ პროსტთან ერთად. მათ ავტომობილებს „პორშეს" ნაცვლად „ჰონდას" ფირმის ძრავა ექნებათ.

## მოკრივე ბერი



გაბრიელე კაპიტანი (შუაში) — მუზონეს (მარცხნივ) მატჩის რეფერი.

**კრივი** თავისი ჩასახვის დღიდანვე დიდი წარმატებით სარგებლობდა საზოგადოების ყველა ფენაში. იგი ერთნაირად იზიდავდა მჭედლებს, ხის მჭრელებს, მეზღვაურებსა თუ ზეპური საზოგადოების წარმომადგენლებს. კრივს მისდევდნენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებიც: პითაგორა, ბაირონი, ბერნარდ შოუ, მორის მეტერლინკი, ჯეკ ლონდონი, ჰემინგუეი, ჩარლი ჩაპლინი, ჟან პოლ ბელმონდო, რენატო გუტუზო და სხვა მრავალნი. კრივს ჰყავდა ასეთივე მაყურებელიც, ბატონი სერგი წულაძის გადმოცემით პარიზში ტყავის ხელთათმანის უბადლო ოსტატის რეი რობინსონის საჩვენებელი გამოსვლების დროს დარბაზს ავსებდნენ სიტყვის, ცეკვის, სიმღერისა თუ ფუნჯის ოსტატნი.

მაგრამ კრივმა პოპულარობის მხრივ, როგორც იტყვიან, თავის თავს გადააჭარბა. იგი პოპულარული გახდა ეკლესიის მსახურთა შორისაც.

ღვთისმსახური მოკრივის ფენომენი გაჩნდა ჯერ კიდევ შიშველი მუშტით ბრძოლის ხანაში. უძლეველმა ინგლისელმა მოკრივემ ვილიამ ტომსონმა, რომელიც რინგის დატოვების შემდეგ მღვდელი გახდა, თავისი მუშტის ძალა ერთხელ კიდევ გამოავლინა შიგ ტაძარში, როცა იქ შეხეტებულმა ექვსმა ჯანღონიანმა, შეზარხოშებულმა მამაკაცმა ალიაქოთი ატეხა, ტომსონმა ზეცას შესთხოვა პატიება და ექვსივე იქვე მიაწვინა.

ასეთი ფენომენი არსებობს ჩვენს დროშიც. თუკი ტომსონი მღვდლად ეკურთხა კრივის კარიერასთან გამოთხოვების მერმე, იტალიელი ბერი, გაბრიელე კაპიტანი, კრივით ინტერესდება იმ დროს, როცა იგი ფრანცისკანელთა ორდენის უკვე კარგა ხნის წევრია. ამ პიროვნებამ კრივი მიიჩნია რაინდულ თვისებათა აღზრდის ძალზე კარგ საშუალებად და მოყვარული მოკრივის დონეზე შეითვისა სპორტის ამ სახეობის ილეთები. შემდეგ იგი შეუდგა უპატრონო ბავშვთა წვრთნას. მთელი ცამეტი წელი ეწეოდა ამ საქმიანობას. ამ გზით ბერმა არაერთი უდედმამო ბიჭუნა აარიდა ცუდ გზას.

ამჟღრად მან მსაჯობის წესებიც შეისწავლა და, ასე გასინჯეთ, რეფერი გახლდათ ისეთი საპასუხისმგებლო ტურნირის დროს, სადაც მონაწილეობას იღებდა თვით სახელგანთქმული პროფესიონალი მოკრივე მუზონე.

—გადაწყვეტილი მაქვს არასოდეს დავანებო თავი ბავშვების წვრთნასა და მსაჯობას, ვიდრე ძალ-ღონე შემწევს,—განუცხადა ჟურნალისტებს ბერმა მოკრივემ.

**ედიშერ გიორგაძე.**

## ეკრანზე და ეთერში...

**ცენტრალური ტელევიზია. 4 ოქტომბერი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.15 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — **19.00 (2)**; სპორტული მოთხრობა — **19.45 (1)**; ჩოგბურთი დევისის თასზე: სსრ კავშირი — შვეიცარია (გადაცემა დონეცკიდან) — **21.00 (2)**, საფეხბურთო მიმოხილვა — **22.50 (1)**; ფრენბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალი (ვაჟები) — **24.00**.

**საქართველოს ტელევიზია. 4 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) **19.00**; საფეხბურთო მიმოხილვა — **22.50**.

**საქართველოს რადიო. 4 ოქტომბერი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: ასკ (კიევი) — „დინამო" (თბილისი) — **20.00**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) — **20.00**.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

## „სპორტპროგნოზი": 41-ე ტირაჟი (10-12 ოქტომბერი)

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში** | | | | | |
| 1. გდრ — სსრკ | 10.X | | 10 | 80 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში (პირველი ლიგა)** | | | | | |
| 2. „კრისტალი" (სარატოვი) — „ბურანი" (ვორონეჟი) 2 თამაში | 10.X | | 80 | 10 | 10 |
| 3. „დინამო" (მინსკი) — ურიცკის სახ. სკ. (ყაზანი) 2 თამაში | 10.X | | 70 | 10 | 20 |
| 4. შვსმ (კიევი) — „კრისტალი" (ელექტროსტალი) 2 თამაში | 10.X | | 20 | 10 | 70 |
| 5. „ავანგარდი" (უფა) — „მეტალურგი" (ნოვოკუზნეცკი) 1 თამაში | 10.X | | 50 | 10 | 40 |
| 6. „დიზელისტი" (პენზა) — „სიბირი" (ნოვოსიბირსკი) 1 თამაში | 10.X | | 60 | 20 | 20 |
| 7. „მოლოტი" (პერმი) — „მეტალურგი" (ჩელიაბინსკი) 1 თამაში | 10.X | | 50 | 10 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. ვაჟები. (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 8. „ისკრა" (ვასილკოვი) — „ინშაატჩი" (სუმგაითი) ქ. მოსკოვი | 10.X | | 50 | 20 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 9. „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „ტორპედო" (უსტ-კამენოგორსკი) | 11.X | | 70 | 10 | 20 |
| 10. „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 11.X | | 70 | 10 | 20 |
| 11. „დინამო" (მოსკოვი) — „სოკოლი" (კიევი) | 11.X | | 80 | 10 | 10 |
| 12. ასკ (ლენინგრადი) — „იჟსტალი" (იჟევსკი) | 12.X | | 80 | 10 | 10 |
| 13. „დინამო" (რიგა) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 12.X | | 40 | 20 | 40 |



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**4 ოქტომბერი ◎ ფეხბურთი ◎ სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი)**

დასაწყისი 18 საათზე.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

იმასთან დაკავშირებით, რომ თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე შეწყდება ლატარიის ბილეთების გაყიდვა, გთხოვთ იზრუნოთ მათი დროული შეძენისთვის.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68436

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08017